კვირა, 24 ივლისი, 1916 წ. | რედაქციის ადრესი: თფილისი, ოლლას ქუჩა, № 6. | ფასი 15 კაპ.

ეშეკერი მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 30

სადილი ჰაჰანაქება-სიცხეების დროს ქ. თფილისში.

სტუმარი

(Гвоздь сезона!)

დიდის მოკრძალებით უძღვნის ავტორი ამ მცირე ამბავს ჩვენს დამსახურებულს საზოგადო მოღვაწესა და მოაზრეს **გრიგოლ რობაქიძეს.**

— წაიკითხე, ბოშო, გავიგოთ მა-ნც რას იწერება.

ქალური ცნობის მოყვარეობით შეეკითხა ქ-ნი კატო თავის მეუღლეს, როცა ნიკომ ლურჯ სარჩულიან პატარა კონვერტს თავი მოახია, წერილი გაშალა და მრავალ-მნიშვნელოვანად დაიძახა: გაბრიელ შიბაქიძესია!

ნიკომ დაიწყო:

„ნიკო! მსურს ზაფხული ამ მტვრიან ქალაქს გარეთ გავატარო. სხვა სოფლებს ისევ ხიზათურა ვამჯობინე. დარწმუნებული ვარ, ჩემი სტუმრობა შენთვის დიდათ სასიხარულო იქნება და ხუთშაბათ საღამოს მელოდე. მართალია შენს მეუღლეს არ ვიცნობ, მაგრამ დარწმუნებული ვარ ის მიცნობს და უმადური ჩემი სტუმრობისა არ იქნება. გაფრთხილებ, ჩემი მატერიალური ბარგი მხოლოდ მეორე კლასის ბილეთია, სხვაზე თქვენ გაძლევთ ნებას იზრუნოთ. მორალურ-ინტელექტუალად ვიმედოვნებ ჩემთან ზაფხულის გატარება და მუსაიფი უნაყოფოდ არ ჩაივლის თქვენი ოჯახისათვის.

სადგურზე შემეგებეთ.

გაბრიელ შიბაქიძე“.

— ახირებულია თქვენმა მზემ! გულდაწყვეტით ჩაილაპარაკა ნიკომ და წერილი ხელში შეაცივდა.

— ნეტავი გამაგებინა, როდის მოასწარი ასე დამეგობრება, რომ შენს თანხმობასაც აღარ უცდის?

შეეკითხა ქ-ნი კატო და ქმარს წერილი ჩამოართვა.

— გარწმუნებ, სულ მეორეჯერ შევხვდი ქართულ კლუბში ამ სამი თვის წინეთ.

— სწორედ ეგ არის, სთქვი და დაგიჯერე!

— ვფიცავ შვილებს, მხოლოდ ორჯერა მყავს ნახული.

— მამას ჩვენა ვყევართ მოძულებული. ხუმრობით შენიშნა პატარა ელიკომ.

— რა ვქნა, როგორ დაგარწმუნოთ: პირველად ენახე აკაკის დასაფლავებაზე და მეორეჯერ ამ სამი თვის წინათ კლუბში, ვახშამზე მიგვიწვია.

— აჰაა! როგორც ეტყობა დავალებული ყოფილხარ.

— რის დავალებული, ადამიანო? მიგვიწვია, თორემ გადახდით ფული მე გადავიხადე—ნებას გაძლევთ გაუსწორდეთო—გვითხრა და თითონ ვილაც გოგოს გაედევნა.

— მიკვირს ღმერთმანი! თუ ეგრეა როგორ ბედავს უცნობ ოჯახში ასე დაუპატიჟებლათ ჩამოსახლებას?

— რა გაეწყობა, უარს ხომ ვერ ვეტყვით. რაც უნდა იყოს შიბაქიძეა!

— მართლაც უხერხულია, დედი. თითონ არ უნდა ეკადრებია ასეთ უცნობ ოჯახში ჩამოჩხირვა, მაგრამ რაკი არ შერცხვა, ახლა რაღა გაეწყობა. ჩაერია ლაპარაკში ნიკოს უფროსი ვაჟი ლეო.

———

პირველი დღე.

— ადგა, შვილო?

— არა, დედი, არა. წუხელ მითხრა,—მე სხვანაირი გაღვიძება ვიცი, ჯერ მარცხენა თვალს გავახელ, ნახევარი საათის შემდეგ მარჯვენას და შემდეგ ავდგებიო. მამას უთხრა—დილას ხმაურობა ნუ იქნებაო.

— მაშ როგორა ნებავს, ჩვენც ათ საათამდე ვიწვეთ და ცალ-ცალკე ვახილოთ თვალები?

— ჩუმათ დედილო, ვგონებ იღვიძებს!

— არამც გამოუღვიძია! მაგის გულისთვის ოთახში ვეღარ გაგვივლია.

— ლეო! მოისმა გაბრიელის ოთახიდან.

— აი, გესმის, ორივ თვალით გაუღვიძია.

ლეომ მოკრძალებით შეაღო კარები და შეიდა. გაბრიელი ჯერ კიდევ იწვა და ზანტათ იზმორებოდა „აისედორა დუნკანსავით“, როგორც თვითონ ეძახის.

— ერთი დიდი სარკე უნდა შემომიტანო.

— ეხლავ!

ლეომ დიდის გაჭივრებით შეიტანა გაბრიელის ოთახში უზარ მაზარი კედლის სარკე.

— რავქნა, რატომ არ გამოდის, შვილო? ამდენი ხანია საუზმე მზათ არის. ვგონებ ჩქარა სადილობის დროა. რა დაემართა რომ არ ვიცი?

— საათ ნახევარია სარკესთან ზის და რაღაცას აკეთებს დედი. არ ვიცი, ვერც მე ვერაფერი გავიგე.

— ფერ უმარულს ხომ არ იკეთებს ნეტავი?

— ვგონებ არც უმაგისობაა!

— ეს რა ხათაბალა შეგვემთხვა, ღმერთო დიდებულო!

— ახლა წუხილი აღარაფერს უშველის დედიკო. ეს ორი თვე როგორმე უნდა გავუძლოთ ამშვიდებდა დედას უფროსი ვაჟი.

— რას ამბობ ბიჭო? ღმერთმა დაიფაროს მაგისი ორი თვით აქ დარჩენა!

— რავქნა, ძალათ ხომ ვერ გააგდებ და თავისი ნებით არ წავა!

მეორე დღეს საღილზე.

— ქართლი ამ მხრივ ჩამორჩენილია!—დინჯათ დაიწყო გაბრიელმა—შარშანდელი ზაფხული კნეინა ფეფოსთან გავატარე ქვიშხეთში და ლამის შიმშილით მომკლეს.

— ქართლელების პურ-მარილი ჩვენში ნაქებია.

შენიშნა ნიკომ.

— პური და მარილი რამდენიც გნებავს, სხვა კი არაფერი.

— რითაც შეუძლიათ, იმით სცემენ პატივს. ჩამოურია კატომ.

— რასაკვირველია, მაგრამ ყველასთან ერთგვარი მოპყრობა არ შეიძლება: მეც სტუმარი ვარ და ივანე ხიდაძეც. მე თუ კი ვეცი უდიდესი პატივი და სამი თვის ჩემთან მუსაიფი ვიჩუქე, სამაგიეროც ამის შესაფერი უნდა იყოს.

— ძნელია უცნობი პირის ხელის შეწყობა. ყველაფერს ისე რასაკვირველია ვერ აუსრულებ, როგორც მას ესიამოვნება. გამოეპასუხა ქ-ნი კატო.

— როცა ვერ სცემ შესაფერ პატივს, ბოდიში მაინც უნდა მოიხადო. ჯერ შორს არის ის ბედნიერი დრო, როცა გერმანიის სტუმართმოყვარეობა და თავაზიანობა ჩვენში ფეხს მოიკიდებს. წარმოსთქვა გაბრიელმა.

მეათე დღეს.

— რაზედ დაგიძახა, შვილო?

— გაიჩუმე, დედი, ეგ ბავშვი.— ჯერ მთელი ღამე ძილი დამკარგვია და ახლა ფიქრს მიშლისო...

— რავა, ხომ არ გაგიჟებულა ვიღაცა ოხერია! ჩვილი ბავშვი იტირებს მაშ რას იზამს.

— ჰოდა ისიც მაგას ამბობს.

— მერე?

— მერე ისა, რომ ამ ორი თვით უქირავეთ ვინმე ძიძა და წაიყვანეთ სადმე ახლო სოფელში, ნუთუ არ შეგიძლიათ საქართველოს უდიდეს შვილს ორი თვით მყუდროება მისცეთო.

— რას ლაპარაკობ ბიჭო, ვიღაც მოთრეული უსაქმურის გულისთვის ბალანას გადავაგდებ? რატომ არ აეთრევა, აგერ მეთორმეტე საათი დაიწყო.

— არც პირველზე აპირობს მგონი.— უძილობა თვალებს სწყენსო.

— უთხარი მამაშენს, რავაც მოათრია, ისე გადაათრიოს აქედან. ვიღაც ვიგინდარა კი არა ჩემიანის რჩენა მეძნელება.

— რას ლაპარაკობ დედილო! საწყალი მამა წუხელ ისე გააბრუა ლაპარაკით, რომ მთელი ღამე თავი სტკიოდა. დღეს აღარ ვიცი სამსახურს როგორ გაუძლებს.

— აგია ბიჭო, შენი ფილოსოფოსობა?

— კარგი, კარგი დედიკო, ვინ იცის, იქნება მართლაც თითონაც ქე ისინდისოს და წავიდეს.

— არა შვილო, მაგას ამფერი ნიშანი არ ეტყობა. ამხელა კაცი სხვას რავა უნდა ჩამოეკიდოს მუქთა ხორათ და თუ ჩამოეკიდება გაჩუმდეს მაინც.

პირველი თვის ბოლო.

— ახლა რაღა მინდაო?

— აღარ ვიცი ღმერთმანი, რა წყალში ჩავარდე! ღამე ჩამიჯდება და ლაპარაკს აღარ გაათავებს. მოშორება ქე მცხვენია. ვზივარ და ვუგდებ ყურს. გადის თორმეტი, პირველი, მეორე... ვწვები გათენებისას და უნდა წამოვხტე ორი საათის შემდეგ. თითონ კი ხვრინავს პირველ საათამდე.

— ადამიანო, აღარ ფიქრობს წასვლას?

— რის წასვლა, რას ლაპარაკობ! წელან მითხრა: — კარგი კი იქნება თქვენი მეუღლე თუ დასცლის ამ ოთახს, რადგან ერთ ოთახში ჰაერი ცოტაა და სუნთქვას მიძნელებსო.

— სხვა არაფერი უნდა?

— ნუ გეშინია, არც სხვაზე მოიმორცხვებს.— დღეს ინდოურის საცივი გააკეთეთ და მეოთხე ნომერი „კახეთის“ ღვინო იყიდეთო.

— ხვალ მე პერევისაში მივდიერ დედასთან, შვილებიც მიმყავს.

— ეს მართლა ჩინებული აზრია. ლეოს თფილისში გავგზავნი. ალბათ მიხვდება, რომ დასტანჯა მთელი ოჯახი.

იმედიანათ შენიშნა ნიკომ.

მეოთხე თვეზე.

— თქვენი სახლობა რო წავიდა, ცოტა ნერვები დამიმშვიდდა. დარბაისელური კილოთი წარმოსთქვა გაბრიელმა და ღონივრათ ამოისუნთქა. — ჰაერიც თითქო მეტია ახლა.

— ხვალ კიდევ მეტი იქნება. ლეო ქალაქს აპირობს.

— ოჰო, ჩინებულია! ჩემი ტუფლები არ დაავიწყდეს ვანოსთან არის დატოვებული.

— აქ აღარ ჩამობრუნდება, პირდაპირ იქიდან მოსკოვს წავა.

— წავა, კი წავა, მაგრამ ტუფლებს ვიღა ჩამოიტანს?

— რა გაეწყობა, როგორმე უნდა მოვახერხოთ.

— კარგია, თუ შენი ტუფლები მერგო, მაგრამ ვიწრო, ან დიდრონი რო დარჩეს? მართლა აქ არის იქნებ ვინმე მეჩექმე? დაიბარე ხვალ დილით და შეუკეთე.

ექვსი კვირის შემდეგ.

— ლეო ძლიერ საჭირო იყო თურმე ჩვენი კეთილდღეობისათვის. შენ საქმე გაქვს და მე კი ჩემის ხელით პირის ბანას მიჩვეული არა ვარ.

— ხვალ დილით მეც ქუთაისში ვარ დაბარებული. ორი კვირა დავრჩები.

— როგორ, მაშ მე თქვენი მოურავი ვყოფილვარ. არ დაგამადლიდით. იცით რომ თავისუფლება მიყვარს და სარგებლობთ ჩემი სისუსტით. დღეს სადმე ერთი ჩვილი გოჭი იყიდე და შეაწვევინე. მიკვირს ზოგიერთს რატომ უფრო უყვარს მოხარშული გოჭი. ყიფიანის ღვინოს აქებენ მგონი. ხუთმეტიოდე ბოთლი დასტოვე წასვლისას, თორემ ამ ორ კვირას უზიარებლათ დავრჩები.

დასასრული.

— მოახსენთ დიასახლისს და თქვენს ბატონს, რომ სამწუხაროთ დრო ნებას არ მაძლევს კიდევ რამოდენიმე დღით დავრჩე და მათ უკანასკნელი დღის სიამოვნება მაინც მივანიჭო ჩემთან მუსაიფით.

დიდის რიხიანობით ეუბნებოდა ბ-ნი გაბრიელი ნიკოს შსახურებს. — თუ ამ სალდათობას გადაურჩი უპატივცემულოთ არც შემდეგში დავსტოვებ და ზაფხულს მუდამ აქ გავატარებ. ახლა საჭიროა თქვენ ერთმანეთ შორის ჩემთვის სამგზავრო ფულები მოაგროვოთ. მუშები მუდამ ტრაბახობთ და აი ახლა მოგეცათ შემთხვევა მონაწილეობა მიიღოთ ჩვენი ქვეყნის კულტურულ აღორძინებაში.

ეშმაკ ნიკოს უკვე დაეტოვებია მსახურთათვის საჭირო გზის ფული და სწორეთ მესამოცე დღეს ჩვენი მოღვაწე გაბრიელი თფილისისკენ გამოეგზავრა საღამოს მატარებლით.

ეშმაკი.

პატარა ფელეტონი

მადლობა ღმერთს!

ქართველ-სომეხთა უთანხმოებას უკვე ბოლო მოეღო. დღეიდან ორ ნათესავ და მეზობელ ერთა შორის აღარავითარ უსიამოვნებას ადგილი აღარ ექნება. „ჰორიზონი“ და „სახალხო ფურცელი“ ერთი რედაქციით გამოვა.

რა მოხდა?

უდიდესი ამბავი ჩვენს ცხოვრებაში. ქართველი ერის, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ არჩილ ჯაჯანაშვილის მოთხოვნილებანი, გამოთქმულ უკვდავ წერილში: **„რას ედავებიან ქართველები სომხებს?“** და მოთავსებული „სახალხო ფურცლის“ 624 ნომერში, სავსებით მიიღო სომხეთის ერმა. არა თუ მიიღეს იმ რედაქციით, რომელსაც ქართველი ერის კანონიერი წარმომადგენელი მათ უკარნახებდა, პირიქით კიდევაც შეავსეს სხვა და სხვა, ჩვენთვის სასარგებლო კომენტარიებით.

გავეცნოთ საკითხს მუხლ და მუხლ.

მუხლი პირველი:

უმთავრესი ძარღვი ქართველ-სომეხთა უთანხმოებისა, როგორც სამართლიანად აღნიშნავს უნიჭიერესი პუბლიცისტი „სახალხო ფურცლისა“, მდგომარეობს შემდეგში:

— **თფილისი საქართველოს დედა-ქალაქია,** — ამბობენ ქართველები.

— თფილისი კავკასიის ძველი ქალაქია, — ამბობდენ სომხები.

დიახ ამბობდენ, ვინაიდან არჩილ ჯაჯანაშვილის წერილის შემდეგ „სომხური საზოგადოებრივი აზროვნების ფხიზელმა წარმომადგენელმა“ გაზეთმა „ჰორიზონმა“ ბრძანა:

-- დღეიდან ქ. თფილისს ეწოდოს: ,,**საქართველოს დედა-ქალაქი უძველესი ტფილისი, მდებარე მდ. მტკვრის ნაპირად, სოლოლაკის ჩრდილო-დასავლეთით**''.

ამგვარათ უმთავრესი მიზეზი სომეხ-ქართველთა უთანხმოებისა უკვე მოისპო.

მუხლი მეორე.

— **არსებობს საქართველო, როგორც განსაზღვრული გეოგრაფიული ერთეული.**

ვამბობთ ჩვენ ქართველები.

„ჰორიზონმა“ ეს მუხლიც გააფართოვა ჩვენდა სასარგებლოთ. სახელდობრ აი ასე:

— არსებობს საქართველო, როგორც გეოგრაფიული ერთეული, მდებარე 41—43 გრადუსთა შორის ჩრდილოეთ სივრცისა და 16—10 გრადუსთა შორის აღმოსავლეთ სიგრძისა“.

კამათი ზედმეტია. ვინ უნდა იყოს ისეთი ქართველი, რომელმაც ამას ორივე ხელი სიამოვნებით არ მოაწეროს.

მუხლი მესამე.

— **საქართველოსა აქვს პოლიტიკური ინტერესი.**

ამბობენ ქართველები.

— საქართველოსა აქვს პოლიტიკური ინტერესები, ჰყავს მრავალი პოლიტიკური დამნაშვე და შეუძლია იქონიოს ეკონომიური ინტერესებიც.

განმარტავს მესამე მუხლს გაზ. „ჰორიზონი“.

მუხლი მეოთხე.

— **ქართველებისათვის უპირველესად ყოვლისა არსებობს ცნება საქართველოისა, რომლის ადგილსაც ვერავითარი სხვა ცნება ვერ დაიჭერს.**

ამბობს ბ-ნი ჯაჯანაშვილის დეკლარაცია საქართველოს უფლებათა შესახებ.

გაზეთი „ჰორიზონი“ ამ მუხლსაც სავსებით ღეღეულობს და დასძენს:

„მოისპოს ხმარებაში სიტყვები: ივერია, გრუზია, გეორგია, გურჯისტანი, და სომხური გამოთქმა საქართველოსი“.

ამასთან ერთად „სომეხთა საზოგადოებრივი ზარის ფხიზელმა დარაჯმა“, გაზეთი „ჰორიზონის“ რედაქციამ განსაკუთრებული ცირკულიარი გაუგზავნა „საქართველოს დედა-ქალაქის ტფილისის*) მოურავს სანდრო ვანოს ძეს ხატისაშვილს, რომ თავისს სიტყვებში მან უცილობლათ იხელმძღვანელოს ზემო აღნიშნული განმარტებებით და ააცილოს სომხის ერს ის უბედურობა, რომელზედაც წინააღმდეგ შემთხვევაში უთითებს საქართველოს წარმომადგენელი ბ. არ. ჯაჯანაშვილი.

ბ-ნი ჯაჯანაშვილი კი აი რას წინასწარმეტყველობდა:

„მაშინ ძალა ქართველების წინააღმდეგობისა უფრო გაიზრდება და სომეხ-ქართველთა გამწვავება უკიდურესობამდე მივა. თუ ახლა ასეა, შემდეგში უარესი იქნება, რადგანაც ქართული ეროვნულ-პოლიტიკური შეგნება უფრო გაიზრდება“**).

როგორც ხედავთ ეს შავი არჩილი მომავლისა ისე გაჰქრა, როგორც საღი მოსაზრება ბ-ნი ჯაჯანაშვილის წერილებში. სომხებმა სავსებით დააკმაყოფილეს „სახალხო ფურცლის“ „ჩიტირეკის“ პოლიტიკოსების მოთხოვნილება, ვინაიდან ის სადაო არასოდეს არ ყოფილა.

მორიელი.

ჭრელი ამბები

მიუტევებელი შეცდომა.

„ეშმაკის მათრახის“ რედაქცია ძირიან-ფესვიანათ ააღელვა ერთმა მოულოდნელმა გარემოებამ. თურმე, ჩვენი ჟურნალის ხელმძღვანელი და თანამშრომელი „თაგუნა“, არც მეტი, არც ნაკლები, ი. ზარდალიშვილი ყოფილა!

ბ-ნი ეშმაკი ერთობ განცვიფრებული დარჩა, როცა ხარფუხოვის კლუბში ბ-ნმა ზარდალიშვილმა

*) სიტყვა თფილისსაც „ჰორიზონელები“ დღეიდან „სახალხო ფურცლის“ მსგავსად „ტფილისად“ სწერენ.

**) არ გაზარდოს ჩემმა გამჩენმა!

ეშმაკი.

წაიკითხა **თავისი** ლექსები: „ხაშურის“ შესახებ, „ფუტურისტების მიბაძვა“ და სხვ. ეს ლექსები და თვით ფსევდონიმი დღემდე თურმე ქურდულათ მითვისებული ჰქონდა ერთ-ერთ პირს, რომლის ვინაობას აქ აღარ ვასახელებთ. ვინაიდან ისიც ეყოფა სასჯელათ, რომ გაიგებს რაზომ სახიფათოა სხვისი ნაწარმოების მითვისება.

თუ ეს მართლაც ასე არ იყოს, ბ-ნი ზარდალიშვილი უთუოდ იტყოდა, როცა აღნიშნულ ლექსებს კითხულობდა ჯერ ხარფუხოვის და შემდეგ ახალ კლუბში, რომ ეს ლექსები „თაგუნას“ ეკუთვნის და მე „თაგუნა“ არა ვარო.

სჩანს ჩვენ იმდენ ხანს გვატყუებდენ.

— —

ᲒᲐᲛᲝᲪᲜᲝᲑᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲫᲜᲔᲚᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ.

გაზეთი „სამშობლო“ ჩვენზე უკეთეს პირობებში დიახაც არ არის. ჩვენ თუ „თაგუნა“ სხვა გვეგონა და ნამდვილათ კი ბ-ნი ზარდალიშყილი აღმოჩნდა, „სამშობლოს“ პატივცემულ რედაქციას გრ. გველესიანი, ი. გრიშაშვილი და სხვ. ქართველები ჰგონებია. ეს შეცდომაა. კარგა ხანია გამოაშკარავდა, რომ ბ-ნი ი. გრიშაშვილი სომეხი ყოფილა, ტრაპიზონის ვილაეთიდან, ხოლო გრ. გველესიანი კი— ქურთი. დანარჩენების შესახებ ზემო აღნიშნული რედაქცია ცნობებს აგროვებს „შშაკისა“ და „ჰორიზონის“ დახმარებით.

ხალხში შემაძრწუნებული ხმები დადის. ქართველ დედაკაცებს, (უმთავრესად ხანში შესულთ, ე. ი. ქმარ-შვილიანებს) გადაუწყვეტიათ უკანვე მოსთხოვონ მგოსანს ი. გრიშაშვილს ის „კოცნა“, რომელიც მათ მისთვის უსესხებიათ.

ან კი რატომ უნდა შეარჩინონ ვიღაც გადამთიელ სომეხს! ეროვნული თვით-გამორკვევა ჩვენი მაღალი წოდების კეკელებშიაც იკიდებს ფეხს.

ძირს მესამე დასი!

— —

ᲓᲘᲓᲘ ᲗᲕᲐ ᲓᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲣᲚᲕᲐᲨᲕᲔᲑᲘ.

თფილისის სააზნაურო გიმნაზიაში მთელი თვის განმავლობაში ბრძოლა იყო გაჩაღებული, რასაკვირველია ბ-ნ ეპიტაშვილისა და ა. მდივანის გარშემო, ფულების უწესრიგოთ მოხმარების შესახებ.

ამის გამო ბევრი დაიწერა, ხოლო ათჯერ ბევრი ითქვა, ასე რომ კითხვა უკვე გამორკვეულათ უნდა ჩაითვალოს: ეპიტაშვილმა გაფლანგა ფულები, მდივანმა ვერ დაუშალა. საქმე ამით დაბოლოვდა.

სამაგიეროთ, სწავლის საქმე რომ მომავალში სასურველათ სწარმოებდეს, დაითხოვეს ორი მასწავლებელი. ბ-ნი ქადაგიძე (გარიჟრაჟზე) გრძელი ულვაშების ტარებისათვის, ხოლო ბ-ნი ახმეტელაშვილი—დიდი თმისათვის, ვინაიდან თანამედროვე აზრის მიხედვით დიდი თმა ნიშანია ერთი მიმართულებისა.

— —

ᲢᲧᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ.

გაზეთ „საქართველოს“ უკანასკნელ ნომერში მოთავსებული იყო მშვენიერი წერილი ჩვენი ცნობილი აგრონომის ბ-ნ გ. ქ—სა „ტ ყ ე“. ავტორი სამართლიანად უცაცხანებდა ჩვენი ქალაქის მამებს, რომელთაც ვერ შეინახეს თფილისის გარშემო ვახტანგ გორგასლანისაგან დატოვებული ტყე და ამასთან ერთად აღნიშნავდა იმ სარგებლობას, რომელიც მოაქვს საზოგადოთ ტყეს.

ამ აურაცხელ ფაქტებს მე მინდა დავსძინო ერთი, სრულიად ახალი მაგალითი. სახელდობრ: **რა გავლენას ახდენს ტყე მგოსანთა დაქანცულ აზროვნებაზე** საილიუსტრაციოთ მოვიყვან „სახალხო ფურცლის“ მე-626 ნომერში მოთავსებულ ბ-ნ ი. გრიშაშვილის ლექსს.

წაღვერის ტყეებს ჩვენს „ვნებათა მგოსანზე“ პირდაპირ მაცოცხლებელი გავლენა მოუხდენია და თავისს მშვენიერ ლექსს ასეთი მარგალიტებით ამოლოვებს:

,,მე აქ დავიდგამ—მხოლოდ აქ! აქ!—
მგოსნურ გვირგვინსა,
აქ მიყვარს ბოდვა კაზმულ ენით,
რადგან ჩემს ტვინსა
არა აქვს ფიქრი აზრიანი, დარბაისლური''.

წაღვერი. ი. გრიშაშვილი.
(„სახ. ფცრ“. № 626).

ვერ აგვიახსნია მხოლოდ ერთი წინააღმდეგობა: ტყეთა სივრცის შემცირებასთან რათ იმატა ჩვენში მგოსანთა რიცხვმა?!

ხომ არ ინებებს ჩვენი პატივცემული აგრონომი ბ-ნი გ. ქ. ამ საკითხზე ერთი „ვიცე მეთაურის“ დაწერას? ჩვენ რასაკვირველია მადლობელი ვიქნებით.

მახათი.

ერთი გავლით

(ჭაგანი)

კვირა დღეა. ტანჯული გულის გასართობათ გავეშურე ჭაგნის ძველი სამკითხველოსაკენ. მივდივარ ნელი ნაბიჯით, თავ-ჩაქინდრული. ქალწულებით სავსეა ჭაგნის მარად ჟამ მხიარული ქუჩები. ყოველი მხრიდან მოისმის სხვა და სხვა ჰანგზე ულის ამაღელვებელი სიმღერები. გულ-დათუთქული განვშორდი მათ ნაადრევ ზეიმს, და გავეშურე გმყუდრო ალაგისაკენ, ვით მწირი მიყრუებულ უდაბნოისა. ის იყო უნდა დამეტოვებინა ის წყეული ალაგი და განმევრძო სევდით მოცული გზა, რომ უეცრივ შემომესმა მეზობელ ეზოდან ქალწულთა სევდიანი სიმღერა, რომელმაც ცოტა არ იყოს მეც ამათრთოლა. საჩქაროთ მივიწიე ყურის დასაგდებათ. გულ-დასმით მინდოდა გამეგო მათი გაჭივრება. აი როგორი „მწუხარება“ და „გლოვა“ ისმოდა მათი სევდიანი სიმღერიდან:

ოხ, რა დღეში ვიმყოფებით
ვაი ჩვენი ბრალი,
თან და თან გულში გვიღვივა
გიჟურ ტრფობის ალი.
დაგვებნა და დაგვეხლართა
სიყვარულის კვალი,—
სატრფო ომში გაიწვიეს
და დაგვიფსეს თვალი.
რა ვქნა აწი, სად წავიდეთ
წყეულ-ეულები,
ტრფობის სხივით დანამთვრალნი,
ლანდათ ქცეულები.
ვინ გაგვიწევს მფარველობას,
სად ვიშოვოთ ცალი,
დაგელოცოს, ღმერთო, შენი
დიდი სამართალი.
—
იქიდანაც მალე ვქენი
სახლისაკენ პირი,
და მას შემდეგ გულ-მოკლული,
იმ დღის ხალხსა ვსტირი.*)

ჭაგნელი ბზიკი.

*) „ეშმაკის მათრახის“ რედაქცია ბეჭდავს ამ წერილს და თანაც გაცნობებთ, რომ ვინაიდან ძველებური ტირილი უკვე გადავარდა მთელს იმერეთ ამერეთში, ამგვარი წერილები იშვიათად დაიბეჭდება. მკითხველებს თვალები გაუფუჭდება, სხვა რომ არა იყოს რა.

გზა და გზა

(სიტყვების ახსნა)

გალახანა. ამხანაგობა „დარიალ“ ორი სიტყვისაგან შესდგება. პირველი სიტყვა „დარი“ მთამომავლობით რუსულია. ქართულათ—აჩუქე, მეორე სიტყვა „ალ“ თათრულია. ქართულათ—აიღე. ამიტომ ადვილი გასაგებია, თუ აქ რაზედაა ლაპარაკი. მუშა

ერთგულად ეკიდება, თუმცა მართალი რომა ესთქვათ ხაზეინიც პირნათლად ასრულებს უკანასკნელი სიტყვით დაკისრებულ ვალდებულობას და ნაჩუქრის აღებაზე უარს არ ამბობს. ალბათ მუშის თავმოყვარეობის შელახვისა ერიდება. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ მუშებს ბევრი ვერაფერი უჩუქებიათ. სულ რაღაც ორმოცდა ათიოდ ათას მანეთამდე ყოფილა წარსული წლის ამხანაგობის მოგება. აქვე დამეინტერესა გაგება იმისა, თუ რა და რა ორგანიზაციისაკენ მიისწრაფიან ამ სისხლის წვიმების დროს ჩვენი მუშები და სიამოვნებით შემიძლია აღვნიშნო, რომ გრუზინსკოელებში ზოგიერთ მოსამსახურეთა და მუშებთა შორის ძლიერია ლატარიის მოთამაშეთა ორგანიზაცია. რა გინდა, რომ აქ არ გაეთამაშებიოთ: გარმონი, ძველი შარვალი...

ვორონცოველებში კი ძლიერია მშვენიერი ქესსის მიმდევართა პარტია. ამბობენ, ლანდვერნი და ლანდშტურმნი რაზმებიც ყავთო. ცხენების სიძვირის გამო კავალერია არ ყავთ, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ორგანიზაციებს საზოგადოთ რამდენიმე ვირი ყოველთვის მოეპოება და მაშასადამე რამოდენიმე მათრახიცაა საჭირო. ბ. ეშმაკი რომ მის თილისმიან მათრახს შეელეოდეს ხომ ყველას ეყოფოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ვეფხის ტყაოსნის მკვლევარმა ბ. კაკაბაძემ აგვიწეროს რისგან დაწნული მათრიხი მისცა წარსულ საუკუნეში მოთა რუსთაველმა ტარიელს, რომლითაც ეს უკანასკნელი სასწაულს ახდენდა და თუ არც ეს შეიძლება, ვინაა ქრისტიანი, რომ დაგვავალოს და ამ გვარ შემთხვევისათვის საჭირო მათრახის ნიმუშში დაგვიხატოს.

დია.





თელავი

როდესაც საზაფხულოთ თელავისაკენ გამოვემგზავრე, სახეში მქონდა პატარა, პროვინციალური ქალაქი, სადაც ასე თუ ისე შეუძლია გაჭივრებულ კაცს ზაფხულის სამი თვე მაინც გაატაროს.

მაგრამ, როცა მე თელავში მოვედი, რამოდენიმე დღე ვიცხოვრე, აქაურობას თვალი მივავლ-მოვავლე, მყის შევნიშნე ჩემი მიუტევებელი შეცდომა. პატარა თელავი არა თუ მარტო უბრალო სამაზრო ქალაქია, არა, ათასჯერ არა... ის საუცხოვო აგარაკი, წმინდა ევროპიული კურორტია.

მერმე სად იყვენ ამდენ ხანს ისინი, ვისაც ბედმა ჩემზე ადრე არგუნა თელავის ნახვა? სად იყო „კავკასიის მოაგარაკეთა საზოგადოება“, რომ ვერ შენიშნა ეს მარგალიტი ალაზნის ველისა და თვალი სრულიად კავკასიისა! მოდი და ნუ აღშფოთდები, ნუ უსაყვედურებ მათ, ვინც უკვე იცოდა ქ. თელავის არსებობა და დღემდე ამის შესახებ ხმას არ იღებდა, ცხრა მეათედს ქართველობისას უმალავდა მის ღირსებებს.

მე დაფარვა არ შემიძლია!

გაშენებულია ეს ჩინებული აგარაკი (ნება მიბოძეთ დღეიდან მას „აგარაკი“ ვუწოდო) საუცხოვო თვალ-წარმტაც ფერდობზე და ფეხის შებიჯებისათანავე თქვენს გრძნობებს ჰხიბლავს ქალწულებრივი სიწმინდე ჰაერისა, რომელსაც არ გაჰკარებია ქვეყნის გაჩენიდან არც ერთი ნამცეცი მტვერისა. (იხილე სურათი 1).

გულშემატკივარი, გულკეთილი და გულმოდგინე დიასახლისები ყოველგვარი ღონის ძიებით ცდილობენ აგარაკს სახელი გაუკეთონ და ამ მიზნის მისაღწევათ ისინი დედობრი-

ვის მზრუნველობით ექიმობენ ყველა გამვლელ-გამომვლელს ცნობილი კნეიპის სისტემის მიხედვით: თფილი თუ ცივი წყლით. (იხილე სურათი 2.)

ყოველგვარი ტალახი: წყალტუბოისა, ახტალისა, ევპატორიისა, შეუდარებელია თელავის ტალახებთან, რომლითაც მკვიდრნი და მოაგარაკენი ხელგაშლით სარგებლობენ სრულიად უსასყიდლოთ (იხ. სურ. 3).

სრულიად უფასო და უმაგალითო გიმნასტიური სავარჯიშო აქვს ყველა მოაგარაკეს ქალაქის განაპირა უბნებში, ზოგჯერ თვით „ბულვარის“ მახლობლათაც, მაგრამ ასეთი ვარჯიშობა ექიმთა დაუსწრებლათ არც თუ სრულიად უხიფათოა. (იხილე სურათი 4).

ადგილობრივი მცხოვრებნი ყოველგვარი ღონისძიებით ცდილობენ ხელოვნურათ შეავსონ და შეაზავონ ისედაც აზონით მდიდარი ჰაერი აგარაკისა, სხვა და სხვა უფაქიზესი სურნელოვანებით (იხ. სურ. 5, გვერდი 16).

ყოველივე ამის შემდეგ, გამოვა ვინმე რეგვენი და იტყვის: ქალაქის მამები უმოქმედოთ სხედან, მათ საღათას ძილით სძინავთო (იხ. სურ. 6, გვერდი 16).

ჩვენ ვეცდებით კვლავაც მივაწოდოთ მკითხველებს ცნობები ამ ახალი აგარაკის შესახებ.

ოსკარ შლინგი.



ბახმაროს

ბუნების ძალთა უსაზღროების
არსო ხმელეთის თაიგულათა,
აგარაკთ შორის უპირველესო,
მათი მეფობა გშვენის სრულათა,

სიტურფეს შენსა სრულად ვერ ასწერს
არა თუ ჩემი უბრალო ენა,
ვფიქრობ: მგოსანიც ვერ შესძლებს ამას,
და პოეტური ზე აღმაფრენა.

მე მხოლოდ ვიცი უცხო ქვეყნების
ბაღჩა-წალკოტის სხვადასხვა მხარე,
რომელთა ნახვა მარგუნა ბედმა,
შემთხვევა მქონდა და მოვიარე:

„ტყე-ბულონისა“, ფრანგთა შამბნარი
და „ჰაიდ-პარკი“ ბრიტანიაში,
ჩრდილო-შტატების „კალიფორნია“,
თვით ამ ედემში, კარებ-ღიაში,

ვიყავი, მარა იქ არ მიგრძნია,
რაც შენით ვიგრძნე და განვიცადე.
თვალთა წარმტაცი სიტურფის ჯადო,
გულთა მხიბლავი გონების ბადე,

შენ არ გაკლია ბუნების ჯილდო,
მარა გაკლია პატრონის ხელი,
არც გზა და კვალი, არც მწყემსის თვალი,
ნახირს მოუცავს მთა-ტყე და ველი,

წვიმა ნაძვის ტყის ზღაპრული ფორმით,
სხვათა ხის მზგავსი ედემს რგულისა
უმხვთოთ ნაკაფი ვერაგი ხელით,
უხმოთ მომწყვეტი გრძნობა-გულისა.

ნახულის მგმობელ, მნახველისათვის,
აწ გაკვეთილად უნდა კმაროდეს,
რომ მცველმა შენმა შეცდომა კვალად
არ ჩაიდინოს შენთან აროდეს.

—

ნუთუ საღათას თავს ვერ დაახწევს
შენი გუშაგი თვალებ მძინარე,
მიუშვი მასზე მოსაფხიზლებლათ
შენი გიჟმაჟი „ბახვის“ მდინარე,

რომ გაბრუებულს დაჰბანოს პირი
ვერცხლის ძეწკვების ნაკადულითა
და მოუყვანოს თვალში სინათლე,
დაგეპატრონოს იქნებ გულითა.

შენ ფიქრთა ნისლით თვალებ აბმული
დააზიარე „გურიელთ-წყარო“,
ვინ იცის შემდეგ სიცოცხლე თვისი
და მოვლაც შენი „ქე“ მოაგვაროს...

დიდო საუნჯევ კაცთა ცხოვრების
დაუშრეტელო სიცოცხლის წყაროვ,
უკურნებელი სენის მკურნალო,
ედემის მსგავსო ჩემო ბახმარო!

შენს სალოცავათ მოვალ ყოველ წელს,
ვითა ხატობა რელიგიური,
რომ განვიწმინდო სენთა ცოდვები,
ნაცვლათ მივიღო ძალი ციური,

მიიღე მონის თაყვანისცემა,
აწ შენის ნახვით მოხიბლულისა,
ტკბილო ოცნებავ უზრუნველთათვის
ნეტარ-მალამოვ სნეულთ წყლულისა...

უმაგალითოს ამ შენს ბუნებას
ვინატრი აჩნდეს კულტურის ხელი;
მე აგი მინდა ვით მრწამსი წმინდა,
ვით ახალს ძველი მე ამას ველი...

ბუტუნა.



ძველი მეგობარი

ოჰ, როგორ გამეხარდა, ღმერთო ჩემო, როგორ გამეხარდა!!! ჩემი დაბადება არ გამხარებია ისე, როგორც იმის დანახვა. და ვინ დავინახე, ღმერთო ჩემო, ვინ დავინახე!!! მიხეილის პროსპექტზე რომ არ ვყოფილიყავ, სწორეთ სიზმარი მეგონებოდა, მაგრამ... აბა მიხეილის პროსპექტზე მძინარეს ვინ წამომიყვანდა?! სიხარულისაგან გულმა ცახცახი დამიწყო; მოვრთე ხტუნაობა, ყვირილი, ტაშის ცემა... სიხარულმა კინაღამ გამაგიჟა. ჩემს ყურებს აღარ ვუჯერობდი. რამდენიმეჯერ კიდევაც მაგრა გამოვიჩიჩქნე: იქნება სხვა ვინმეს ვხედავ და ყურები მატყუილებენ მეთქი! მაგრამ ამაოდ!..

აბა თუ გამოიცნობ, ვინ დავინახე? ვინ გაახარა ასე უზომოთ ჩემი გული? ვერა? ვერ მიხვდი? რასაკვირველია ვერ მიხვდები! აბა შენ რას მოიფიქრებ, თუ ის გმირი, რომლის მკერდს ორი ვეებერთელა ვარსკვლავი ამშვენებს, როდისმე ჩემი ერთგული მეგობარი იქნებოდა?! შენ რას მოიფიქრებ, თუ მე აქ ჩემ ძველთა-ძველ მეგობარს, ილიკოს შევხვდებოდი, იმ ილიკოს, რომელიც აგერ ექვსი თვეა არ მინახავს. ოჰ, ძალიან გამეხარდა, ძალიან!

ვიდრე მე სიხარულისაგან გონს მოვიდოდი, ის კარგა შორს წასულიყო. მოვიკრიფე ძალ-ღონე გამოუდექი ჩემს ილიკოს და თუმცა სიხარულისაგან ღონე მიხდილი ვიყავი, მაინც ჩქარა დავეწიე...

ილიკო! ილიკო! ინსტიქტიერათ მივიძახე და მაშინვე მომაგონდა, რომ ასე დაძახება არ შეიძლებოდა. აბა ვის გაუგონია პრაპორჩიკს „ილიკო“ დაუძახო?! ჩემი ბედი, არ გაუგონია, თორემ ხომ „ამაკატლეტებდა“!.. დასწყეველოს ღმერთმა! აი უბედურება: მამის სახელიც სწორეთ ახლა დამავიწყდა! ილიკო სოლ... არა ილიკო პეტროვიჩ... პეტროვიჩ.

— ილიკო პეტროვიჩ!.. ილიკო პეტროვიჩ! ისეთი ხმით დავიყვირე, რომ ყრუც მიხვდებოდა დიდისა და მოულოდნელი სიხარულით ვიყავი აღტყინებული. ჩემი ილიკო პეტროვიჩი შეჩერდა; გაისმა მომჯადოებელი ხმალ-დეზთა ჩხაკუნი, პირი ჩემსკენ იბრუნა.

— საიდან? როგორ,—ჩემო ილიკო? ოჰ, რომ იცოდე როგორ გამეხარდა!.. მივეგებე მეგობარს და მოვემზადე გადასახვევათ, მაგრამ... იმან ისე მრისხანეთ შემომხედა, კინაღამ იქვე დავეცი...

— გამარჯობა კაცო! ვეღარა მცნობ?..

– პოშოლ ვონ, ნეგადიაი! .

— ილიკო პეტრ...

— მალჩატ იდიოტ! კაკი ტი პრავა იმეიშ მენე ასტანავიტ? ა? – დამიღრიალა გულის სწორმა, ერთიც რიგიანათ... და გასწია თავის გზაზე. მე გავშეშდი. როცა გონს მოვედი კვლავ გამოვუდექ და მალეც დავეწიე.

„უსათუოდ ქართული დაავიწყდებოდა, არ ესმის ჩემი ლაპარაკი“ გავიფიქრე გულებაში და მყის გამოვაცხადე მობილიზაცია მთელი ჩემი რუსული სიტყვებისა და ისე მივმართე მეგობარს.

— რაზი ვი მენე ნი უზნაიოშ, ილიკო პეტროვიჩ?

— უბირაისა ვონ! ნილადიაი! ჩიგო ტი პრისტალ? ბალვან!—კიდეე დამიღრიალა ილიკომ და თანაც ისე მაგრა დაატყაპუნა ფეხები, რომ სხვა, სუსტი გულის პატრონი, შიშით წაიქცეოდა. ცოტა მეც შევფიქრიანდი. სიტყვა „პრისტალ“ მა გული გამიხეთქა. „თუ მართლა დაუძახა პრისტავს, ჩემი საქმე ცუდათ წავა: ბაშფორტს გუშინ წინ ვადა გაუვიდა და უსათუოდ ციხეში ჩამსვამენ“ მეთქი გავიფიქრე და დაუწყე ხვეწნა ვედრება...

— რადი ბოღა, ვაში ბლალაგოდია გასპადინ პრაპორჩიკ, რადი ბოღა პრისტავ ნი პაზავიტ! მე თითონ პაიდომ... ვეხვეწებოდი და ვაპარებდი კიდეც დაჩოქებასა და ფეხებზე კოცნას, მაგრამ ამ დროს უცებ ერთმა მშვენიერმა, მოკლე კაბით მორთულმა ბარიშნამ გაგვირბინა, და ჩემი ნამეგობრალის ყურადღება მსწრაფლ წარიტაცა. ის რომ არ ყოფილიყო, ვინ იცის რა დამემართებოდა. ჩემ მეგობარს ერთი ფეხი ღა ედგა მოთმინებაში და თუ ისიც ამოელო, შენი მტერია კაი დღეს არ დამაყენებდა. ახლა-კი, ყურების აწევაც მაკმარა. ისე მაგრა ამიწია ორივე ყურები, რომ კინაღამ დამაგლიჯა... რაღა კინაღამ, დღესაც ექიმთან დავდივარ. სირცხვილმა დამავიწყა ტკივილი. მივიხედ-მოვიხედე ხომ არავინ დამინახა მეთქი და უნდა გავქცეულიყავი მაგრამ... სად გაიქცევი, მთელი ქუჩა სულ სიცილ-ხარხარათ იყო ნაქცევი. იცინოდა: ქალი, კაცი, დიდი, პატარა, ქვები და კედლებიც. ავიფარე პირზე ხელები და მოვკუცხლე შინისაკენ. სირბილისაგან დაღლილ დაქანცული, სახლში მისვლისათანავე უგონოთ ძირს დავეცი.

როცა გონს მოვედი მომაგონდა ის დროც, როდესაც მე და ილიკო ერთგული მეგობრები ვიყავით, როდისაც ერთმანეთს ხშირათ ვეუბნებოდით: „უშენოთ ერთ საათსაც ვერ გავძლებო“.

— „ეხ, ჩემო ილიკო—ვფიქრობდი მე—ნუთუ დაგავიწყდა ჩვენი მეგობრობა, ერთგულობა, სიყვარული? ნუთუ დაგავიწყდა ის დრო, როდესაც მოხვიდოდი და მეტყოდი:—„ბიჭო, ცოტა რამე გროშები მომეცი, პურის ფული არა მაქვს“-ო? ნუთუ აღარ გახსოვს ჩვენი პურ-მარილი? ერთად რომ მეხაშე ივანიკასთან გემრიელ ხაშს შეექცეოდით? ნუთუ... მაგრამ არა! ამის დავიწყება შეუძლებელია! აი ახლა-კი მიეხვდი საქმე რაშიაც არის! საქმე იმაშია, რომ ილიკოს ყველაფერი კარგათ ახსოვს, მაგრამ იმ ბჭყვრიალა გარეგნობას მისთვის თვალის

ჩინი წაურთმევია, და ველარ მიცნო. ეჰ, ჩემო ილიკო! კიდევაც ის დრო სჯობდა, როცა შენ ფეხები შიშველი, სამოსი რუხი და ჩამოგლეჯილი, მაგრამ თვალები სალი გქონდა. მაშინ მეგობრებს მაინც სცნობდი. ახლა-კი... ოჰ ღმერთო, რა ცუდი დრო დაგვიდგა, რა ცუდი!!! ახლა სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია! კიდევაც მოვიკლავდი თავს, მაგრამ მეშინიან, ძალიან მეშინიან იმ ოხერი ჯოჯოხეთისა! ჩემის ყურებით არ მენახა, იქნება კიდევ გამებედა თავის მოკვლა, მაგრამ...

ამით დასრულდა ჩემი ფიქრები! ტკბილსა ძილმა მაგრა მომხვია თავისი ძლიერი მკლავები...

გიორგი.



მსაჯულთან

— ბატონო მსაჯულო! უკანასკნელი სიტყვა დამვაშავეს ეკუთვნის, ნება მომეცით ვისარგებლო ამ ჩვეულებით. საქმის ვითარება ასე იყო. ოთხ საათზე მატარებლით ჩამოველ ქალაქში აგარაკიდან. მეტათ კარგ გუნებაზე ვიყავ! თქვენც გეცოდინებათ, თუ რა კარგ გუნებაზე დადგება კაცი, როდესაც ცოლს აგარაკში გაბინავებს, მეტადრე იმისთანა ეპვიანს, როგორიც ჩემი ძვირფასი მეუღლეა. უკაცრავათ დიაღ, დიაღ არ გადაუხვევ საგნიდან... ჩემთვის არ არის საჭირო მაგნაირი შემობღვერა. ჰო, და ჩამოვხტი მატარებლიდან. მეტის სიხარულით რაღაც სიმჩატესა ვგრძნობდი. ქუდი კეფაზე მოვიდე და ღიღინით შეველ პირველი კლასის ბუფეტში, ღიღინითვე გამოვსწიე სკამი და მიუჯექ სასადილო მაგიდას. აღარ ვახსოვს რასა ვღიღინებდი... ჰო, მართლა:

ნინა, ნინა ჩემო ნინა
გათხოვება ხომ არ გინდა.

— მეგობარო, აბა ერთი სადილი გამიწყე-კოხტა, ლაზათიანი სადილი! მივმართე მე თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილ მსახურს, რომელმაც ჩემს გვერდით გაიცუნდრუკა.

— ახლავე ბატონო! იყო პასუხი. მეც დავიწყე ცდა. მოვიგონე ჩემი ნაცნობი ჟენია, ვარია, მარო, დარო და სხვანი, რომელთანაც ვატარებდი მოლხენას ცოლის უშიშრად. ამ ფიქრებში ოცმა წუთმა სწრაფად გაიარა... კვლავ მივმართე მსახურს.

— კაცო, თუ შეიძლება მომიტანე სადილი.

— ახლავე... სიტყვა „ბატონო" დარბაზის მეორე კუთხეში-ღა დაათავა.

ჩემს გვერდით ორმა წყება პრაპორჩიკობამ ისადილა. მე დავთვალე ყველა ბუფეტში მყოფი პირნი, ჩემს პირდაპირ მოსადილეზე დავთვალე თუ რამდენი კოვზი წვენი ეტევა შვათანა თეფშზე; დავთვალე, თუ რამდენი ელეკტრონის ლამფა ეკიდა მთელს დარბაზში. ნახევარ საათი ამაში გავატარე. შემდეგ კვლავ მივმართე ლაქიას.

— შე ოჯახკეტიანო, ნუ მომკალი მშიერი! მეჩქარება! მომიტანე რამ საჭმელი.

— ახლავე, ჩემო ბატონო! იყო პასუხი.

ხომ ხედავ, ბატონო მსაჯულო, თუ რა მოთმინების პატრონი ვყოფილვარ. შემდგომ კიდევ ნახევარი საათი მთქნარებაში გავატარე. იანგარიშეთ წუთში ორი მთქნარება. და ამის შემდეგ როგორ უნდა მოვქცეულიყავი, ბატონო მსაჯულო? ხომ უნდა მეძრო ჯიბიდან რევოლვერი და მეტყორცნა ტყვია ჯერ ბუფეტის პატრონისათვის. ხოლო შემდგომ ჩემი მტანჯველი მოსამსახურისათვის, რომელიც სადილის მაგიერ „ეხლავე ბატონო"-თი მიმასპინძლდებოდა. არა, მე ასე არ მოვქცეულვარ.

როდესაც, კიდევ ნახევარი საათის ლოდინის შემდეგ, მომიტანა მსახურმა წვნით სავსე თეფში და აპირებდა გაბრუნებას, მე შევაჩერე იგი, ახლო მოვიყვანე, თავი დავახრევინე, ვითომდა სათქმელი მქონდა რომ, და თეფში შიგ თავში დავახალე.

და აი, ამისთვის მომიყვანეს თქვენთან, ბატონო მსაჯულო! კარგი იქნებოდა, რომ წვენი ჩვეულებრივად ყინულივით ცივი არ ყოფილიყო და ქათამსავით გაეფუფქა ჩემი მტანჯველი.

ახლა თქვენ იცით, ბატონო, მსაჯულო! მე ყველაფერი ვსთქვი, რაც მეთქმოდა.

მსაჯულმა იგი გაამართლა.*)

გუგული.

---

*) მსაჯულს გააჩნია!

ეშმაკი.

მოსენიება

ლეხოური

გვაქვს მხოლოთ ერთი კოპერატივი,
მით გვინათლდება გული და სული,
თავის რიგზეა სულ ყველაფერი,
შენობაც დავდგით გრძელი და სრული.

გამგეობა ხომ ჰყავდა და ჰყავდა
საღი პრინციპის მატარებელი.
კეთილი შრომით და სისწორითა
იმათ შეუწყვეს დუქნის ზრდას ხელი.

მაგრამ არჩევანთ დრო რო მოვიდა
გამგეთგან დარჩა ორიოდ ძველი.
მესამეთ იქმნა სხვა არჩეული
ამა საქმისთვის არ სასურველი...

და იმ დღიდანვე მიჰყო მან ხელი
საქმისა დაშლას, და წახთენასა
ამ საზარალო გრძნობით და მიზნით
აჭარტალებდა ბოროტ ენასა...

მაგრამ ბევრი დრო არც მას დასცალდა,
კვლავ კრება იქნა მუნ მოწვეული,
და კეთილ საქმის ამსვრელ დამსვრელი
უმალვე იქმნა უკუქცეული.

ქვაზე დანათესს ვერვინ მოიმკის!
ან ანწლში თაფლი ვის მოუნახავს?
და ავი კაცი კარგ საქმეშიაც
ცუდს და მავნებელ გზას გამონახავს".

ნანა.

გუდაუთი

ძია ეშმაკი თუ მწყალობს,
მტერი დამაკლებს ვერასა,
ვისაც სიმართლე არა აქვს
ნუ ელის ხსნას და შველასა.

პირველათ ვაჭრებს ვეწვიოთ,
ეშმაკის ძმას და ამქარსო,
და გავაფრთხილოთ, ნუ მალვენ
სახლში ფუთობით შაქარსო.

თანაც გვიბრძანონ: მანათი
რათ მიაქვთ აბაზიანში,—
და თუ პასუხი არ მოგვცენ,
გამოვიყვანოთ მიზანში.

შემდეგ კი დაბის მამები
ჩვენ უნდა ვინახულოთა,
მიუმღერ-მიუღიღინოთ
მეგობრათ დავიგულოთა.

ვკითხოთ: რათ არის ეს დაბა
უწყლობით განაწამები?
ან სისუფთავეს რათ ჰკლავენ
სასანიტარო გვამები?

აჩკოსანს ისე, შორიდან,
ღიღინით შემოვუაროთ
და მასაც, კუდი მათრახის,
ვაგემოთ, გაუზიაროთ.

თან დავაბაროთ: საქმეში
ნუ იცის, შენ ჩემობია
და სიტყვის გადაბრუნებას
თავი ანებოს, სჯობია.

,,ოსმან ალა''



დ ე პ ე შ ე ბ ი

ოთხი. ახლო მომავალში ჩვენი ხუცეს-კოოპერატორი ლონგინოზ კიკვიძე წაიკითხავს საყურადღებო ლექციას შემდეგ თემაზე: 1) სიმინდის მაგიერ კამფეტის შემოტანის მოწყობა რაჭაში. 2) როგორ უნდა გაიყიდოს კამფეტი ფქვილის მაგიერ ონის კოოპერატიულ დუქანში. 3) კამფეტი და მისი აუცილებელი საჭიროება რაჭველი გლეხკაცობისათვის. 4) ეს დეკების უსაფუძვლო მტრული განწყობილება კამფეტთან. 5) კამფეტი როგორც შიმშილის წამალი.

იქიდანვე. შესდგა ხუცების კავშირი. კავშირის მიზანია კოოპერატიულ მოძრაობის გარშემო ლექციების კითხვა. ჯერ-ჯერობით წევრებათ და ლექტორებათ ჩაეწერენ: მამა ლონგინოზ კიკვიძე, მამა ვლადიმერ ფოფხაძე და მამა ფილიპე, გოცირიძე.

ცესი. ხუცეს-კოოპერატორმა ლონგინოზ კიკვიძემ ლექცია წაიკითხა შემდეგ თემაზე: „ეს-დეკები და მათი უარყოფითი დამოკიდებულება კოოპერატიულ მოძრაობასთან. დაესწრენ ვლადიმერ ფოფხაძე და ფილიპე გოცირიძე.

ამგრძლაური. საჭიროა გამოცდილი ლექტორ-კოოპერატიულ მოძრაობაზე ლექციის წასაკითხვათ. მოელიან ლონგინოზ კიკვიძეს.

ონ...

ბუტუნას სააგენტო

(რადიო აპარატებიდან)

სუფსა. დედაკაცთა არმიამ აღლუმი მოახდინა, შემდეგ გაიმართა ბჭობა „ვაჭართა ძალადობისაგან“ თავდაცვაზე. ჯარმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: წინადადება მიეცეს სუფსელ ვაჭრებს დაიყვანონ საქონლის ფასები მინიმალურ ნორმამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ბოიკოტი ვაჭრებს. აგრეთვე წინადადება მიეცეს მეწისქვილე შარაშიძეს „მინდი“ (წისქვილის ქირა დაფქვაში) 9 გირ. სიმინდის მაგიერ 15 კაპ. მემამულეებს საძოვარი ბაჟი 3 მანეთის მაგიერ 50 კაპ. აირჩიეს დეპუტაცია ზემოხსენებულ კითხვების სისრულეში მოსაყვანათ.

იქიდანვე. ქალთა მოძრაობა გაიგო ბოქაულმა და შეუდგა მოთავეების ძებნას. გაიგო რა ეს დედაკაცთა შტაბმა, მოიხმარა მანდილოსნური ზრდილობა და ბოქაული რომ არ შეწუხებულიყო მეთაურთა ძებნით დედაკაცთა ჯარი თავისი შტაბით (500-ზე მეტი) გამოცხადდა საბოქაულო განყოფილებაში და მოითხოვა ბოქაული, რომელსაც მოახსენა „ჩვენ ქალები შორსა ვართ იმ აზრიდან რომ დარბევა მოვახდინოთ, მარა მოვითხოვთ საზღვარს ვაჭრების მადაზე დასადებათ წინააღმდეგ შემთხვევაში, ბოიკოტი ვაჭრებსო“ თუ ამისათვის ვინმეს დაჭერაა საჭირო გთხოვთ ყველანი დაგვაპატიმროთო“. ბოქაულმა უხერხულობა იგრძნო და მომენტის შესაფერათ აღუთქვა ქალებს დახმარება.

ფოსტა

ჩრრჩილს. შარადა არ დაიბეჭდება, ვინაიდან მაგ თემაზე და თითქმის მაგ სიტყვებით აგებული შარადა უკვე იყო მოთავსებული ჩვენს ჟურნალში.

შხანკოლას. სცენა ვერ დაიბეჭდება.

კისერას. ღირს განა ჩიტი ამდენ დევნათ და შემდეგ ბდღვნათ? მოიწერეთ სხვა თემაზე.

ჩიას. ეყოფა მიხო ლომაძეს, რაც მასზე ითქვა.

გიორგის. „ეშმაკის მათრახის“ რედაქცია გთხოვთ შეიაროთ ელისაბედის ქუჩაზე № 132. ბინა 6.

მუხლუხოს. ამას ჰქვია „ქარიშხალი ერთ ჭიქა წყალში“. გეცნობებიათ მაინც: ვისზე, რისთვის და რა მოსაზრებით დაიხარჯა ამდენი ენერგია, მელანი და ქაღალდი?

ბ-ნ ცხვირაძეს. ცხვირი რაც უნდა გრძელი იყოს, მის გადაღმა მაინც ბევრი ადგილი რჩება და საჭიროა ხოლმე შემოკლება. აი ახლაც მთელი წინა ოთხი ტაეპი მეტია.

ტყუილათ ნუ ირჯებით!

ქუთაისის ქალთა წრის მიერ დაარსებული საჩაიე

„ძმურს დახმარებაში“

ეგზამენები გათავდა.

დიასახლისებმა ყველამ „დვოიკები“ მიიღეს.

ამიტომ

მომავალი სამოსწავლო წლიდან ვაკანსიები აღარ იქნება:

ძველი დიასახლისები „ვტარაგოდნიცებათ“ დარჩებიან

ამ კანიკულებზე საჩაიე დაკეტილია.

„მეზობელი“.



რედაქტორ-გამომც. თ. ბოლქვაძე. ნებადართულია სამხ. ცენზორისაგან. სტამბა ვ. რუხაძისა, გაბაევის შესახვ., № 1.